სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

68586163559415

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

## N151349217

რეგისტრაციის თარიღი

**14.12.2015 წ**

ნოტარიუსი: თეიმურაზ ბურდილაძე
მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანი ქ. #10
ტელეფონი: 94-60-78

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

**სანოტარო აქტი**

საქართველო

**ორიათას თხუთმეტი წლის თოთხმეტ დეკემბერს** მე, ნოტარიუს თეიმურაზ ბურდილაძეს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე ქ.თბილისი, ც.დადიანის ქ. №10, მომმართა **მოქ. ლეილა შენგელიამ,** რომელმაც მოითხოვა სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **ლეილა შენგელიამ** (დაბადებული 29.08.1962წ, პირადი №01019025365, მის. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზ. №9, ბინა №129) –მომმართა

მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მან წაიკითხა მინდობილობა, მოიწონა, ნათლად და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

## მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

**ორიათას თხუთმეტი წლის თოთხმეტ დეკემბერს მოქ. ლეილა შენგელიამ,** რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც « მიმნდობი » წინამდებარე მინდობილობით **მოქ. რამაზ ტვილდიანს** (დაბადებული 30.07.1954წ, პირადი №01009016511, მის. თბილისი, ვ.ფშაველას გამზ. 7 კვ, 22 კორპ, ბ 37), რომელიც შემდეგში მოხსენიებულია როგორც « მინდობილი პირი », მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება :

**მინდობილი პირი** უფლებამოსილია მიმნდობის ნაცვლად აწარმოოს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა « ახალი სახლ »-ში (ს/კ 205302395) მისი, როგორც ინდივიდუალური მენაშენთა ამხანაგობის თავმჯდომარის მუშაობასთან დაკავშირებული საქმეები, დაესწროს ამხანაგობის კრებებს დღის წესრიგით გათვალისწინებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, მათ შორის ბინების და არასაცხოვრებელი ფართების განაწილების შესახებ გამართულ კრებებს ხმის მიცემის უფლებით, ხელი მოაწეროს ფართების განაწილების შესახებ აქტს და სხვა ნებისმიერ დოკუმენტს, განკარგოს ამხანაგობის სახელზე არსებული უძრავი ქონება, კერძოდ, გაყიდოს, გაცვალოს, გააჩუქოს, მიიღოს ექსპლუატაციაში, აიღოს სესხი, დატვირთოს იპოთეკით აღნიშნული უძრავი ქონება, შეიტანოს ცვლილებები და/ან გააუქმოს ხელშეკრულებები, ყველა ამ შემთხვევაში განსაზღვროს თანხა, ვადა და სხვა პირობები თავისი შეხედულებისამებრ, აწარმოოს უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოებში ამხანაგობის სახელზე არსებული ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული საქმეები, შეიტანოს განცხადებები, აღოს ყველა საჭირო ცნობა და დოკუმენტი საქართველოს სახელმწიფო თუ არასახელმწიფო სტრუქტურებიდან (უძრავი ქონების მარეგისტრირებელი ორგანოებიდან), საჯარო რეესტრიდან, საგადასახადო სამსახურებიდან და სხვა), იყოს ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა « ახალი სახლ »-ის თავმჯდომარის წარმომადგენელი საბანკო დაწესებულებებში, მართოს, განკარგოს, გახსნას/დახუროს საბანკო ანგარიშები, აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაციები თანხის შეტანა-გატანის და გადარიცხვის უფლებით, დაამზადებინოს, განაახლოს, გაუგრძელოს მოქმედების ვადა და მიიღოს მიმნდობის სახელზე რიცხული პლასტიკური ბარათი და საბანკო ამონაწერი, ხელი მოაწეროს მის მაგივრად შესაბამის ხელშეკრულებებს (მათ შორის საკრედიტო ხელშეკრულებებს) და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება აღნიშნული დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით და ძალაშია 14.12.2017წლამდე

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური **10-00** ლარი + რეგისტრაციის საფასური **2.00** ლარი, საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების 31-ე და 39-ე მუხლების შესაბამისად, აგრეთვე დღგ 1.8 ლარი, თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა, სულ გადახდილია **13.80 ლარი**

მიმნდობი : ლეილა შენგელია

ნოტარიუსი თეიმურაზ ბურდილაძე